

ურთიერთგაგების მემორანდუმი

Memorandum of Understanding

საქართველოს მთავრობასა

და

შპს “ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯია”-ს

შორის

Between

The Government of Georgia

And

LLC “Georgian Investment Group Energy”

თარიღი: 15 სექტემბერი
საქართველო, თბილისი

**Date: September 15
Georgia, Tbilisi**

მ.ბ.

ურთიერთგაგების მემორანდუმი

წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) დადებულია 2009 წლის 15 სექტემბერს („ძალაში შესვლის თარიღი“)

ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის მიერ, რომელიც მოქმედებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 10 სექტემბრის №666

განკარგულების საფუძველზე, მეორეს მხრივ, შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯია“, რომლის იურიდიული მისამართია საქართველო, 0182 თბილისი, ჯავახეთის №66, (შემდგომში „კომპანია“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის დიმიტრი აბესაძის მიერ,

დებენ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს შემდეგზე:

1. მიზანი

ურთიერთგაგების მემორანდუმის მიზანი არის მხარეთა თანამშრომლობა, რათა ჩამოაყალიბდეს მათ შორის შეთანხმების მთავარი საფუძვლები და დეტალურად დადგინდეს მხარეებს შორის საქმიანი კავშირის ვადები და პირობები.

2. ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედების სფერო

2.1. კომპანია უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებას, რომელიც მოიცავს წინამდებარე მემორანდუმის დანართით გათვალისწინებული ორი ჰიდროელექტროსადგურის – ხობიჰესი-2 და ხობიჰესი-3-ის – მშენებლობას, ფლობას და ექსპლუატაციას (შემდგომში „პროექტი“) საქართველოს ტერიტორიაზე, სამეგრელოში, მდინარე ხობისწყალზე.

2.2. წინამდებარე მემორანდუმის დანართებში მოცემულია კომპანიის მიერ ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგურები (შემდგომში „ობიექტი/ობიექტები“) და მათზე შემდეგი ინფორმაცია:

ა) ადგილმდებარეობა;

Memorandum of Understanding

This Memorandum of Understanding (hereinafter the “MOU”) is made on September 15, 2009 (the “Effective Date”) by and between the following parties:

(1) Government of Georgia, represented by the Minister of Energy of Georgia, Aleksandre Khetaguri, pursuant to decree of the Government of Georgia #666, dated September 10, 2009,

(2) LLC „Georgian Investment Group Energy“, with legal address at 66, Javakheti Str. 0182 Tbilisi, Georgia (the “Company”), represented by General Director Dimitri Abesadze.

1. Purpose


The purpose of this MOU is cooperation between the parties in order to reach an agreement on the principle terms of agreement and determine in detail the terms and conditions of business relations between the parties.

2. Subject of MOU

2.1 The Company shall ensure implementation of the project consisting of construction, own and operation of 2 hydro power plants – KhobiHPP-2 and KhobiHPP-3 on the territory of Georgia, in the Samegrelo (riv. Khobistskali) as described in the Annex to this MOU (the “Project”);

2.2 The Annexes to this MOU contains a description of hydro power plants to be constructed by the Company (the “Facility/Facilities”), including the following information about the Facility:

(a) Location;

ა. 6. 

- ბ) ელექტრული სიმძლავრე;
- გ) განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობა და მისი უკუგების სავარაუდო ვადა;
- დ) მშენებლობის ნებართვის მიღების, მშენებლობის დაწყებისა და ექსპლუატაციაში გაშვების ვადა;
- ე) ელექტროენერჯის წლიური გამომუშავების ოდენობა.

2.3. კომპანია უფლებამოსილია მთავრობასთან შეთანხმებით მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს ამ მემორანდუმით გათვალისწინებული მისი უფლებები და/ან ვალდებულებები.

3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომპანია:

- ა) უზრუნველყოფს ყველა საჭირო ტექნიკური, ეკონომიკური და იურიდიული საკითხების შესწავლას, ექსპერტიზასა და ანალიზს;
- ბ) უზრუნველყოფს მის მიერ შემუშავებულ ტექნიკურ, ეკონომიკურ და იურიდიულ საკითხებზე ანგარიშების მთავრობისათვის მიწოდებას;
- გ) უზრუნველყოფს საჭირო ინვესტიციების განხორციელებას, საერთო ჯამში 64 000 000 აშშ დოლარის ოდენობით;
- დ) უზრუნველყოფს დანართში მოცემული ჰიდროელექტროსადგურების შენებლობასა და მათ ექსპლუატაციაში გაშვებას ამ მემორანდუმით განსაზღვრული ვადების სრული დაცვით. მათ შორის, საამისოდ საჭირო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიებისა და ნებართვების მოპოვებას;
- ე) პერიოდულად – ექვს თვეში ერთხელ – წარუდგენს მთავრობას სრულ ინფორმაციას პროექტის მიმდინარეობის შესახებ;

3.2. კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ პროექტის განხორციელებას იგი უზრუნველყოფს დანართში მოცემული ტექნიკური, ეკონომიკური, ფინანსური, იურიდიული და სხვა პირობების სრული

- (b) Capacity;
- (c) Size of required investment and the approximate recovery term;
- (d) Terms of obtaining construction permits, commencement of construction and commencement of operations;
- (e) annual generation capacity.

2.3 After it is agreed with the Government the Company is authorised to transfer its full or partial rights and/or obligations hereunder to any third party.

3. Rights and Obligations of the Parties

3.1 For the purposes of implementation of the Project, subject to the terms of this MOU and the applicable legislation, the Company shall:

- (a) Ensure due review, expertise and analysis of all required technical, economic and legal issues;
- (b) Submit to the Government the reports prepared by the company on the respective technical, economic and legal issues;
- (c) Secure the required investments in the total amount 64 000 000 USD;
- (d) Ensure construction of the hydro power plants described in the Annex and commencement of their operations in compliance with the respective terms (timelines). This shall include obtaining any and all licenses and permits required under the applicable legislation of Georgia;
- (e) Submit to the Government periodically, per six months, full information about the progress of the implementation of the Project.

3.2 The Company hereby undertakes that during implementation of the Project it shall ensure full compliance with all technical, economic, financial, legal and other terms listed for each of the Facility in the Annex.

ა. ბ. გ.

დაცვით.

3.3. ქვეყნის ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, თითოეული წლის ზამთრის პერიოდში, კერძოდ დეკემბერში, იანვარში და თებერვალში ობიექტების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული ოდენობის რეალიზაცია (ელექტროენერჯის ბალანსის შესაბამისად) განხორციელდება მხოლოდ საქართველოს შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად, რაც აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში, ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში.

3.4 3.3. პუნქტის მიზნისთვის, თითოეული წლის ზამთრის პერიოდში 3.3. პუნქტში მითითებული 3 თვის განმავლობაში ელექტროენერჯის რეალიზაცია, კომპანიის არჩევანით, განხორციელდება საქართველოში არსებულ ნებისმიერ მყიდველზე თავისუფალი (დერეგულირებული) ტარიფით, რაც არ გულისხმობს მთავრობის რაიმე ვალდებულებას.

3.5 წინამდებარე მემორანდუმის 3.3 და 3.4 პუნქტებში აღნიშნულ პერიოდში კომპანიის მიერ ობიექტებზე გამომუშავებული ელექტროენერჯია არ იქნება დისპეტჩირებული ექსპორტზე და რეალიზებული იქნება 3.4 პუნქტის შესაბამისად, ხოლო წლის სხვა დანარჩენ პერიოდში კომპანია თავისუფალია როგორც ბაზრის (ადგილობრივი/ექსპორტი), ასევე ელექტროენერჯის მყიდველის არჩევაში და გასაყიდი ელექტროენერჯის ფასის განსაზღვრაში.

3.6 კომპანიის მიერ ობიექტის მშენებლობის ნებართვის მიღების, მშენებლობის დაწყებისა და/ან ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების ვადის დარღვევის/გადაცდენის შემთხვევაში, მთავრობა უფლებამოსილია წერილობითი შეტყობინების მეშვეობით, ცალმხრივად, შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმის მოქმედება შესაბამისი ობიექტის მიმართ, რაც განაპირობებს:

ა. შესაბამისი (კომპანიისათვის გადაცემული) მიწის ნაკვეთის

3.3 For the purposes of power supply of the country, in the winter of each year, namely the months of December, January and February, the full power capacity generated by Facilities shall be sold (in accordance with the Power Balance) exclusively for the purposes of meeting the internal requirements of Georgia, which shall be reflected in the Power (Capacity) Balance of the respective year or other similar document.

3.4 For the purposes of Section 3.3 above, during three months of the winter period as indicated in Section 3.3, power plant shall sell the power by the decision of the Company to any purchaser in Georgia under a free (deregulated) tariff, that is not considered as an obligation of the Government.

3.5 In the period indicated in Sections 3.3 and 3.4 above, the power generated by the Company through Facilities shall not be dispatched for export and shall be sold in accordance with Section 3.4, while in other months of the year the Company shall be free in the choice of the market (local/export), purchaser of the power and price of the power to the sold.

3.6 In case of breach (delay) by the Company of the term of obtaining a construction permit, commencement of construction works and/or commencement of operations of the Facility the Government may unilaterally, by serving a written notification, terminate this MOU to the consequent Facility, As a result of such termination:

(a) Respective land plot (transferred to the Company) shall be returned to the initial owner

0.6


თავდაპირველი მესაკუთრისათვის დაბრუნებას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, იმ შემთხვევაში თუ თავდაპირველი მესაკუთრე არის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობა. ასეთ შემთხვევაში კომპანიას უფლება აქვს მოახდინოს ამ მიწის ნაკვეთზე განთავსებული მის მიერ შექმნილი ან დაფინანსებული უძრავი ქონების დემონტაჟი, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ.

ბ. კომპანიისათვის პროექტის შესაბამისი ნაწილის განხორციელების უფლების ჩამორთმევას.

3.7 საქართველოს მთავრობის ვალდებულებები

ა) მთავრობა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში კომპანიის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს სათანადო დახმარებას ამ უკანასკნელის მიერ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მოპოვებაში;

ბ) მთავრობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ყველანაირად შეუწყობს ხელს კომპანიას, პროექტის განხორციელებაში, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს სათანადო ნებართვების და ლიცენზიების მოპოვებასთან;

გ) მთავრობა უზრუნველყოფს საქართველოს პრეზიდენტისათვის წინადადების წარდგენას კომპანიისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ობიექტებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადასაცემად.

3.8 ურთიერთგაგების მემორანდუმის 3.6 პუნქტი არ მოქმედებს, თუ კომპანიის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობა განპირობებულია ფორსმაჟორით ან მთავრობის ან/და რომელიმე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს არამართლზომიერი ქმედებით.

4. პროექტის ხარჯები

პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად

without any compensation, if the initial owner of the land plot is the State or local self-governance bodies. In that case Company shall have the right to dismantle immovable assets located on this land plot that are created or financed by it, unless otherwise agreed by the Parties.

(b) The right of the Company to implement the respective part of the Project shall be terminated.

3.7 The obligations of the Government of Georgia are the following:

(a) Within its authorities, upon receiving a respective request from the Company, the Government shall provide due assistance to the Company in obtaining the documents and information required for the implementation of the Project;

(b) The Government shall assist the Company in implementation of the Project in any manner within its authorities, which may include issuance of required permits and licenses ;

c) Government shall ensure Submitting to the President of Georgia proposal for transferring the necessary land plots for Facilities into the ownership of the Company.

3.8 Section 3.6 of this MOU shall not apply if the failure by the Company to comply with the terms of the MOU is caused by Force Majeure or unlawful actions on part of the Government and/or any state body.

4. Project Expenses

The expenses related to the implementation of the Project shall be fully borne by the Company.

გაიღებს კომპანია.

5. მემორანდუმის მოქმედება და მისი ვადაზე ადრე შეწყვეტა. ზიანის ანაზღაურება

5.1. ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 15 წლის განმავლობაში.

5.2 ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედება შესაძლებელია შეწყვეტილ იქნას 3.6. პუნქტის შესაბამისად.

5.3 მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს მემორანდუმის მოქმედება, რის შესახებაც მთავრობას უნდა ეცნობოს 60 დღით ადრე.

5.4 თითოეული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს მეორე მხარის არამართლზომიერი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6. ცვლილებების და დამატებების შეტანა

ურთიერთგაგების მემორანდუმში მხარეთა წერილობითი შეთანხმებით შესაძლებელია ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. თუ აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმის ნებისმიერი პირობა აღმოჩნდება გამოუყენებელი ან იურიდიულად ძალადაკარგული, ამ შემთხვევაში სხვა პირობები კვლავ ძალაში იქნება.

7. შეტყობინებები

მემორანდუმის ფარგლებში მხარეთა მიერ გაგზავნილი კორესპონდენციები შედგენილ უნდა იქნეს წერილობით და გაიგზავნოს ფოსტის, კურიერის ან ფაქსის (ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით) მეშვეობით. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღებისთანავე.

8. გამოყენებული სამართალი და დავების განხილვა

8.1. მემორანდუმი დადებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

8.2. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მემორანდუმის პირობებს

5. Effectiveness of the MOU and its Termination. Reimbursement of damages.

5.1 This MOU shall enter into force from the moment of its execution and shall remain in full force and effect for 15 years.

5.2 The MOU may be terminated in accordance with the terms of Section 3.6.

5.3 Company is authorised to terminate present memorandum unilaterally in case of failure of fulfillment of obligations by the Government. In such case, Government should be informed no later than 60 days prior to termination.

5.4 Each party is authorised to request reimbursement of damages incurred by illegal action of another party.

6. Amendments

This MOU may be amended by written agreement of the parties. If any provision of this MOU becomes invalid or unenforceable, the validity of other provisions shall not be affected.

7. Notifications

Any correspondence sent by the parties within the framework of this MOU shall be made in writing and shall be sent by mail, courier service or facsimile transmission (with the original to follow). The notification shall enter into force immediately upon its receipt by the recipient.

8. Governing Law and Dispute Resolution

8.1 This MOU shall be governed by the laws of Georgia.

8.2 The parties agree that they shall strictly comply with the terms of this MOU, but in case

ა. 6

განუხრელად დაიცავენ, ხოლო დავის შემთხვევაში უცდებიან საკითხი მოაგვარონ მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ამ მემორანდუმიდან გამომდინარე ყველა დავა განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოებს, რომლებიც დავას განიხილავენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ასლები, მემორანდუმის ენა


მემორანდუმი შედგენილია ორ ენაზე: ქართულ – ინგლისურ ენებზე, ორ ეგზემპლარად. ამასთან ინტერპრეტაციის დროს, შეუთანხმებლობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ვერსიას.

ხელმოწერები

საქართველოს მთავრობა

მინისტრი ენერჯეტიკის

ალექსანდრე ზედაძგური



of a dispute between the parties, they shall attempt to resolve such dispute through negotiations. In case of failure to reach an agreement, all disputes arising out of this MOU shall be resolved by common courts of Georgia, in accordance with the applicable legislation of Georgia.

9. Counterparts, Language of MOU


This MOU is made in to Georgian - English, two original counterparts. In case of any inconsistency between the two texts of the MOU, the Georgian text shall prevail.

Signatories

The Government of Georgia

Minister of Energy

Alexander Zedaguri



შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი

ენერჯია“


დირექტორი

დირექტორი აბესაძე

GIG ENERGY

205256177

010




LLC “Georgian Investment Group Energy”

Director

GIG ENERGY

205256177

010



დანართი №1
Annex No.1

ადგილმდებარეობა / Location


№	დასახელება / Name	რაიონი, მდინარე / Region, River
1.	ხობიჰესი-2 / Khobi HPP -2	ჩხოროწყუ, მდ. ხობისწყალი / Chkhorotskhu, Riv. Khobistskhali
2	ხობიჰესი-3 / Khobi HPP -3	

 6.

დახატვითი №2
Annex No.2

სიმძლავრე / Capacity

№	დასახელება / Name	დასრულებული სიმძლავრე მგბმ. / Estimated Capacity in MW
1	ბობაქვი-2 / Khobi HPP -2	25.00
2	ბობაქვი-3 / Khobi HPP -3	11.00
	ჯამი / Total	36.00

ს. ბ.


განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობა და მისი უკუშემობის საგარანტო ვადა

Size of Required Investment and Estimated Recovery Term

№	დასახელება / Name	ინვესტიციის მოცულობა აშშ დოლარში / Size of Investment USD	ინვესტიციის უკუშემობის საგარანტო ვადა / Estimated Recovery Term
1.	ხობი-2 / Khobi HPP - 2	64 000 000	10 წელი / 10 years
2	ხობი-3 / Khobi HPP - 3		

316

მშენებლობის ნებართვის მიღების, მშენებლობის დაწყებისა და ექსპლუატაციაში გაშვების ვადა

Terms of Obtaining Construction Permits, Commencement of Construction and Commencement of Operations

№	დასახელება / Name	ნებართვის მიღების ვადა / Date of Obtaining Permits	სამშენებლო სამუშაოები / Construction Works	ექსპლუატაციაში გაშვება / Commencement of Operation
1	ხობიჰპი-2 / Kkhobi HPP-2	01.01.2011	დაწყება / Launching date 01.01.2011 დასრულება / Commissioning date 01.11.2014	01.01.2015
2	ხობიჰპი-3 / Kkhobi HPP-3	01.09.2010	დაწყება / Launching date 01.09.2010 დასრულება / Commissioning date 01.11.2013	01.01.2014

ს.ბ.

წლიური გამომუშავების აღწერა

Annual Capacity

№	დასახელება / Name	წლიური გამომუშავება მლნ. კვტსთ / Annual Capacity mln. KWH
1	ხობიჟესო-2 / Khobi HPP-2	154
2	ხობიჟესო-3 / Khobi HPP-3	67
	ჯამი / Total	221

29/3 2016



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

№ 01/23/13-6396

30 06 2009 წ.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ მარიამ ვალიშვილს


ქალბატონო მარიამ,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი აწ 29 ივნისის №02/2032 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასა და შპს „ქართული საინჟინერიო ჯგუფი ენერჯის“ შორის გასაფორმებული მემორანდუმის პროექტი და ვაცნობებთ, რომ ამ უკანასკნელის მიმართ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს. ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აქვე დაემატათ, რომ კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებით ეკონომიკის მინისტრის განკარგულებაში გადასული უნდა იქნეს საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის №107 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერჯია 2008“ საქართველოში განახლებადი ენერჯიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის“ 24-ე და 25-ე მუხლების დანაწესები, რომელთა თანახმად დადგენილია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების არსებობის საყალღოებულობა შემოადინებული წესის გვერდის ავლისა და შესაბამისად, მხარესთან შეთანხმებული პირობებით ელექტროსადგურის მშენებლობის საკითხის რეგულირების თაობაზე.

პატივისცემით,

თინა ბურჯალიანი

მინისტრის პირველი მოადგილე



საქართველოს შინაგარეო, მშპ

განცხადებულება

№ 666 2009 წლის 10 სექტემბერი ცხელით

საქართველოს მთავრობასა და შპს „ქართულ

საინჟინტერიო ჯგუფ ენერჯია“- შორის ხორბისა-2-ისა და ხობის-3-ის მშენებლობის, ოპერირების- და ფლობის ხარამისა და მშენებლობის შესახებ

შესახებ გასაუარმებელი ურთიერთგანცხადების შესახებ

98 21 11


1. მოწონებულ იქნეს შპს „ქართული საინჟინტერიო ჯგუფი ენერჯიის“ წინადადება ხობის-2-ისა და ხობის-3-ის მშენებლობის, ოპერირების და ფლობის შესახებ.

2. „სახელმწიფო პროგრამა ატანახელდასა ენერჯია 2008“- საქართველოში განახლებადი ენერჯიის ლალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილს №107 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე პუნქტის საფუძველზე შპს „ქართული საინჟინტერიო ჯგუფი ენერჯიის“ შტო ხობის-2-ისა და ხობის-3-ის მშენებლობის ოპერირებისა და ფლობის შესახებ ინტერესთა გამობატვარე არ გაერცხედ და ხედალრინული დადგენილებით დამტკიცებული წესის

3. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობა-სა და შპს „ქართულ საინჟინტერიო ჯგუფ ენერჯია“- შორის ხორბის-2-ისა და ხობის-3-ის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ გახალწოდებული ურთიერთგანცხადების მებორაინტერესი.

4. „საქართველოს მთავრობის სერუქტურით, ულსეთაში-ღობისა და ხაქთანთან წესის შესახებ“ საქროე ლის კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად ურთიერთგანცხადების მორანდუმის ხელი მოაწერის საქართველოს მრეწველეთის მინისტრმა აღნიშნულ ხანდარე ხეთაგურმა.

პრემიერ-მინისტრი


ნინო გილაური